პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ნაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და ნაკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1943 წ. № 85 (6710). ფასი 20 კაპ.

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი

კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის რეზერვი და უახლოესი თანაშემწეა. ამხანაგი **სტალინი** ამბობს, რომ „კომკავშირი ფორმალურად არაპარტიული ორგანიზაციაა"; მაგრამ ამასთან ერთად იგი კომუნისტური ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს და იბრძვის პარტიის ხელმძღვანელობით. მტკიცე, სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა—აღზარდოს ახალგაზრდობა **ლენინურ-სტალინური** იდეების სულისკვეთებით.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე კომკავშირი წარმატებით ასრულებდა მის წინაშე დაყენებულ ამოცანებს იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ბრძოლებში ნაცადი ბოლშევიკური პარტია. სამოქალაქო ომის პერიოდში, სოციალისტური მშენებლობის წლებში, ფაშიზმის წინააღმდეგ სამამული ომის მრისხანე ვითარებაში კომკავშირის სახელოვანი საბრძოლო ლაშქრობანი და დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობა განუხრელად დაკავშირებულია პარტიული ხელმძღვანელობის სიდიადესთან. არმიის კომკავშირი გმირულად იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ. კომკავშირელთა ინიციატივით ლენინგრადის ფრონტზე საფუძველი ჩაეყარა სახელოვან სნაიპერულ მოძრაობას.

ყველგან, სადაც კომკავშირს წარმატება აქვს ბრძოლაში თუ მუშაობაში, ეს სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობის შედეგია. სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ანხორციელებენ თავის ხელმძღვანელობას, იქ კომკავშირის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოვლინდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის, სტალინის, ბერიას და კიროვის რაიკომების ამასწინათ ჩატარებულ პლენუმებზე.

თბილისის სტალინის რაიონში კომკავშირისადმი სისტემატურ ხელმძღვანელობას და ყოველდღიურ დახმარებას ანხორციელებენ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, ფარმაკოლოგიური ქარხნის, 35-ე სკოლის და სხვ. პარტორგანიზაციები. ამიტომ იქ კომკავშირის ორგანიზაციებიც კარგად მუშაობენ. მაგრამ არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც მუშაობის ამ სერიოზულ უბანს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკის პარტბიურომ (მდივანი ამხ. ბაბაევი) 1942 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთხელ განიხილა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის საკითხი, მართალია, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგრამ ერთხელაც არ შეუმოწმებია ამ ღონისძიებათა შესრულება. თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაცია კი სუსტად მუშაობს. მთელი სამი თვის განმავლობაში მას კრება ერთხელაც არ ჩაუტარებია. 1942 წელს მხოლოდ 6-ჯერ ჩაატარეს კრება და მიიღეს ფორმალური გადაწყვეტილებები. ფანერის ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციაში კომკავშირული მეურნეობა ქაოსურ მდგომარეობაშია. შემოწმების დროს გასული წლის ოქმებიდან იქ მხოლოდ ერთი ოქმი აღმოჩნდა, ისიც დელეგატების არჩევნების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი წლის განმავლობაში მათ კრება არ ჩაუტარებიათ, ან თუ ჩაატარეს, ოქმები არ შეუდგენიათ.

კომკავშირი საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმია. განუწყვეტლივ იზრდება კომკავშირის რიგები მოწინავე ახალგაზრდობის ხარჯზე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდა ახალგაზრდობის სწრაფვა კომკავშირისაკენ. თბილისის ლენინის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია მარტო 1943 წლის სამ თვეში 382 ახალგაზრდით გაიზარდა, კიროვის რაიონისა — 264 კომკავშირელით. კომკავშირელები უდიდესი აღფრთოვანებით და მაღალი პოლიტიკური შევნებით შედიან ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამ საქმეში პარტიულმა ორგანიზაციებმა კომკავშირს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა, ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობა, აგიტაცია-პროპაგანდა, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა, სტახანოვური მოძრაობის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, სამხედრო-ფიზკულტურული და თავდაცვითი მუშაობის სანმოუმოდ დაყენება, კომკავშირული რიგების ზრდა, საუკეთესო კომკავშირელთადმი დახმარება საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მათ შესასვლელად, კომკავშირული კრებების მომზადება, მათი მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება, კომკავშირული მეურნეობის მოწესრიგება—ყველა ამ ამოცანის წარმატებით შესრულებაში კომკავშირს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

კომკავშირი თავის მხრივ ხელმძღვანელობს და ეხმარება პიონერულ ორგანიზაციებს.

კომკავშირის რაიკომების მუშაობას ხელს უწყობენ და ეხმარებიან მუდმივად მოქმედი კომისიები. რაიკომების ხელმძღვანელობით მუდმივად მოქმედი კომისიების უნარიან, მოქნილ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ თვით რაიკომებმა უნდა იზრუნონ სწორად წარმართონ მუდმივად მოქმედი კომისიების მუშაობა და გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირის პირველად ორგანიზაციებზე.

კომკავშირული ორგანიზაციები საქმით არიან პარტიის დირექტივების გამტარებლები, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არის, ეხმარებიან პარტიას მათს სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში, იჩენენ ფართო ინიციატივას, ხელს უწყობენ მუშაობაში წარმატებას **და** ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის თებერვლის პლენუმმა წინადადება მისცა პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს გააძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კომკავშირულ კომიტეტებს ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ საწარმოთა და კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებას, სადაც პარტიული ორგანიზაციები არ არის, უკეთ მოაწყონ მუშაობა კომკავშირული აქტივის შესწავლისა და აღზრდისათვის და საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელად საუკეთესო კომკავშირელთა მომზადებისათვის.

რაც უფრო გავაძლიერებთ და გავაუმჯობესებთ პარტიულ ხელმძღვანელობას კომკავშირისადმი, მით უფრო გაძლიერდება და გაუმჯობესდება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, მით უფრო ფართოდ დავრაზმავთ მთელ ახალგაზრდობას ვერაგ მტერზე ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად.

მექსიკის დესპანმა ბ-ნმა ღ. კინტანიამ რწმუნებების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

12 აპრილს, დღის 2 საათზე, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო მექსიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ღ. კინტანია, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბ-ნ ღ. კინტანიასთან.

ორდენების გადაცემა გენერალ-პოლკოვნიკ ვ. დ. სოკოლოვსკისა და გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. ბულგანინისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა 13 აპრილს კრემლში ლენინის ორდენი და სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა გენერალ-პოლკოვნიკ ვ. დ. სოკოლოვსკის და სუვოროვის II ხარისხის ორდენი—გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. ბულგანინს, რომელნიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო ოპერაციების მარჯვე და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახანძრო დაცვის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახანძრო დაცვის 25 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით სახანძრო დაცვის შემდეგი მომუშავეები, რომლებმაც განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მუშაობაში:

1. **აბულავი** ალექსანდრე იაკობის-ძე
2. **აგამირზოვი** არამ სტეფანეს-ძე
3. **არტემეევი** იაკობ ნიკოლოზის-ძე
4. **ასრატიანი** ვაგან ასრატის-ძე
5. **ბაბარიკინა** ოლგა პავლეს-ასული
6. **ბერიანიძე** ალექსანდრე ზაქარიას-ძე
7. **ბუაჩიძე** ლეონიდე მარკოზის-ძე
8. **ბუტენკო** ნიკოლოზ ივანეს-ძე
9. **გოგოლაძე** სამსონ ილიას-ძე
10. **დევდარიანი** სიმონ ვლადიმერის-ძე
11. **დშუნიანი** გაიკ სიმონის-ძე
12. **ეიტინგანი** ვიქტორ სოლომონის-ძე
13. **ვარნაზოვი** გიორგი ზაქარიას-ძე
14. **თოფურია** პლატონ გრიგოლის-ძე
15. **კაზაჩენკო** პეტრე ნიკოლოზის-ძე
16. **კახიანი** ვახტანგ ვალერიანის-ძე
17. **კიკნაძე** ილია ნესტორის-ძე
18. **კოკოტკინი** არქიპო ნიკოლოზის-ძე
19. **კოსტუჩენკო** გიორგი ნიკიტას-ძე
20. **კოტოლაშვილი** ილია ივანეს-ძე
21. **კოხრეიძე** ნიკოლოზ ვასილის-ძე
22. **კუკლევი** ალექსანდრე ივანეს-ძე
23. **კუკუხიძე** გრიგორ საბას-ძე
24. **მანიშინი** სერგი გიორგის-ძე
25. **მეძმარიაშვილი** ნიკოლოზ ვიქტორის-ძე
26. **მიმინოშვილი** ივანე სტეფანეს-ძე
27. **ნარმანია** კონსტანტინე იასონის-ძე
28. **ოტიევი** სტეფანე მელიანის-ძე
29. **პინტურია** პარმენ ბაკურის-ძე
30. **სარია** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე
31. **ტუაევი** ვიქტორ ინუსის-ძე
32. **შევარდნაძე** ვლადიმერ კაპიტონის-ძე
33. **შევჩუკ** ივანე კარპეს-ძე
34. **ჩავლეიშვილი** აპოლონ ანტონის-ძე
35. **ჩლაიძე** ირაკლი ევგენის-ძე
36. **ჯაფარიძე** შალვა გრიგოლის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

13 აპრილი, 1943 წ. ქ. თბილისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 აპრილის დილის ცნობა

12 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს და დაზვერვას ეწეოდნენ. მზვერავთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ შერშნევის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია. მზვერავები გერმანელთა ბლინდაჟებთან მიხოხდნენ და გრანატები დაყარეს მათ. ბლინდაჟებში მყოფი ჰიტლერელები მოსპობილ იქნენ.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით საარტილერიო-საანამტყორცნო კანტონკუნტი სროლა სწარმოებდა მტერთან. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა ღამის სიბნელით ესარგებლნა და ჩვენს დასაყრდენ პუნქტამდე შემოეღწია. 5 ნაწილის მებრძოლებმა ახლოს მოუშვეს ჰიტლერელები და თოფ - ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს. მტერმა უკან დაიხია და ბრძოლის ველზე დასტოვა რამდენიმე ათეული გვამი. 5 ნაწილის არტილერისტებმა დაუშინეს გერმანელთა პოზიციებს, და მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარეა, 2 ნაღმსატყორცნი, დაანგრიეს 7 ძელმიწური და ბლინდაჟი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე 5 შენაერთის მფრინავებმა 20 დღის განმავლობაში ჩაახშეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა 70-მდე საველე ქვემეხი, საზენიტო არტილერიის 12 ქვემეხი და ააფეთქეს მტრის 12 საწყობი.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით იმ ქვეგანაყოფის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი ოლეინიკი, დაანგრიეს გერმანელთა 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოსპეს რამდენიმე ქვემეხი მათი გუნდებიანად. 5 ნაწილის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 32 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ყუბანში ჩვენი ნაწილები დაზვერვასა და საარტილერიო სროლას ეწეოდნენ მტერთან. უკანასკნელ დღეებში გერმანელთა ავიაციამ აქტივობა გააძლიერა. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომზე თავდასხმის დროს მოსპეს გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა გერმანელთა ორი კომენდატურა. მოკლულია 18 და ტყვედ წამოყვანილია 12 ჰიტლერელი. პარტიზანებმა მოსპეს მტრის 2 ქვემეხი და ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 27 შაშხანა და სხვადასხვა დოკუმენტები. ამ რაზმის ამფეთქებელთა ჯგუფებმა გზატკეცილის 3 ხიდი ააფეთქეს. შჩორსის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა დაანგრია ნახევარი კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი და ლიანდაგიდან გადაადგო გერმანელთა სამხედრო ეშელონი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ, რასაც ისინი სჩადიან მათ მიერ ტყვედწაყვანილი საბჭოთა მებრძოლების მიმართ. „კალინინის ოლქის სოფელ პორეჩიეს სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში ბლინდაჟში ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა გერმანელების მიერ მხეცურად ნაწამები სამი წითელარმიელის გვამი. გამორკვეულია, რომ ჰიტლერელებმა ტყვედ ჩაიგდეს საბჭოთა მებრძოლები და დიდ ხანს აწამებდნენ მათ. ერთი მებრძოლისათვის გერმანელ ბანდიტებს დაუჭრიათ ხელის თითები, მეორისათვის — ყურები, მესამისთვის კი თავი გაუჭეჭყიათ. ყველა გვამი დაცხრილულია ტყვიებით". აქტს ხელს აწერენ: მაიორი ჭრაფოვი, მაიორი კუზმინი, უფროსი სერჟანტი მელნიკი, უფროსი ლეიტენანტი ჩურიკოვი, სერჟანტი პობერეევნი, ზემდეგი ჩუბაროვი და წითელარმიელი ბაბკოვი.

* * *

იუგოსლავიელმა პატრიოტებმა შეუბოვარი ბრძოლების შემდეგ განდევნეს იტალიელ ოკუპანტები ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 200 შაშხანა, 25 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი, 260.000 ვაზნა და სხვა დაგლა. სხვა რაიონში იუგოსლავიელი პარტიზანები მდინარეზე გადავიდნენ და წარმატებითა ბრძოლებს ეწევიან მტერთან.

13 აპრილის საღამოს ცნობა

13 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის სანგრები, ამასთან 100-ზე მეტი ჰიტლერელი გაანადგურეს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის რამდენიმე ბლინდაჟი და საცეცხლე წერტი. საბჭოთა მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს და გერმანელთა 5 თვითმფრინავი მოსპეს.

* * *

დასავლეთის ფრონტზე არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე გადალახა. მზვერავებმა გასასვლელი გააკეთეს ნაღმად ველში, იერიში მიიტანეს გერმანელებზე და გარეკეს ისინი დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობზე არსებული გამაგრებული პოზიციებიდან. ბრძოლის ველზე მტრის რამდენიმე ათეული გვამი დარჩა.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითს ჯარის ტანკების დახმარებით მთელი დღის განმავლობაში იერიშები მოჰქონდა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ და 3 დაზიანებული ტანკი დასტოვა ბრძოლის ველზე.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითა თავდასხმა მოაწყეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და 17 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი დაანგრიეს. ჩვენი მზვერავთა ჯგუფი მტრის სანგრებში შეიჭრა. ტყვეები წამოიყვანა და თავის ნაწილში დაბრუნდა.

* * *

26 მარტს სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი. დაიმსხვრა ორთქლმავალი და 9 ვაგონი. მოკლულია 20 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაჭრილია 25. ერთი დღის შემდეგ სხვა უბანზე პარტიზანებმა რკინიგზის ლიანდაგი დანაღმეს. ნაღმებზე აფეთქდა ეშელონი გერმანელი ჯარისკაცებიანად. მარცხის შედეგად დაიმსხვრა ორთქლმავალი და 13 ვაგონი. მოკლული და დაჭრილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანიის 322-ე გრენადერთა პოლკის ტყვედწამოყვანილმა ობერ-ეფრეიტორმა ვილი რანმა განაცხადა: „თებერვალში გერმანიაში ვიყავი ქალაქ დიუსელდორფში. ქალაქის მცხოვრებნი დანაღლვანებული არიან. ინგლისის ავიაციის ხშირი თავდასხმის გამო მოსახლეობა მუდმივ შიშშია. ქალაქი ძალიან დანგრეულია. ძლიერ დაზიანდა მთავარი ვაგზალი. ერთხელ, სარდაფში რომ ვიყავი, დედამ მიოხრა, ქალაქში გერინგს „ყბედ მეიერს" ეძახიანო. მან მომაგონა, რომ გერინგმა ერთ თავის სიტყვაში განაცხადა: „შემიძლია დავარწმუნო გერმანელ ხალხი, რომ სანამ ავიაციის მინისტრი მქვია, მტრის ვერც ერთი ბომბი ვერ ჩამოვარდება გერმანიაზეო. თუ ეს ასე არ მოხდა, ჩემი გვარი გერინგი კი არა, მეიერი იქნებაო". თითქმის ყოველ საღამოს სარდაფში ვიმალებოდი და მივხვდი, თუ რა სულელურად იკვეხნიდა გერინგი".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა გაძარცვეს და დაარბიეს კურსკის ოლქის პოდგორნიაის სოფლსაბჭოს მოსახლეობა. გერმანელმა კაცსაწყლულებმა ჯალიტეს ათობით მშვიდობიანი მოქალაქე, დაანგრიეს და დასწვეს ბევრი სახლი, მოსპეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და კოლმეურნეთა სხვა ქონება. სოფელ მე-2 პოდგორნიაის ჩლობოდაში გერმანელებმა დასწვეს 35 სახლი და ძალად გარეკეს კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში 45 კაცი. სოფელ რეპეევკაში ჰიტლერელებმა დასწვეს 9 სახლი, საკოლმეურნეო ბეღლები, სალეწი მანქანა, დახვრიტეს კოლმეურნე ვასილი პეტროვეცა, მისი შვილი სიმონ პეტროვი, ვასილ სტეპანოვი და სხვები. კულინოვკაზეცის კოლმეურნეობაში გერმანელმა ჯალათებმა მოაკლეს კოლმეურნე ანა პოლიაკოვა, ელენე პოლიაკოვა და მისი შვილები: 14 წლის ალექსი, 13 წლის პეტრე, 12 წლის ეკატერინე, 9 წლის ვალენტინა და 3 თვის ნიხეილი. კოლმეურნეობა „პროგრესში" ფაშისტმა მტარვალებმა გაწყვიტეს კოლმეურნეები იმისათვის, რომ მათ სურსათის უკანასკნელი ნაშთი არ ჩაბარეს.

საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმა ქენიგსბერგზე

12 აპრილს ღამით საბჭოთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ ქ. კენიგსბერგს. ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენი თვითმფრინავები ეფექტურად ბომბავდნენ კენიგსბერგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს. შემჩნეულია, რომ ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძრები შემჩნეული იყო იმ რაიონებში, სადაც მდებარეობენ მანქანათმშენებელი ქარხანა, ელექტროსადგური, საარტილერიო ქარხანა, აეროდრომი, რკინიგზის კვანძი და სამხედრო საწყობები. ხანძრების ალი 100 კილომეტრზე მეტი მანძილიდან მოსჩანდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი დაბრუნდა თავის ბაზაში, გარდა ორისა, რომელთა ძებნა სწარმოებს.

თავდასხმა ფინელთა გარნიზონზე

კარელიის ფრონტი, 11 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). უკიდურეს ჩრდილოეთში ჯერ კიდევ ცივა. თოვას ქარბუქი სცვლის. მიწა ჯერ კიდევ თოვლის სქელი ფენით არის დაფარული. განსაკუთრებით დიდი თოვლია ტყეებში.

მოთხილამურეთა რაზმი ობუშნის მეთაურობით მოვლითი მარშით მტრის ზურგში შეავლო და თავს დაესხა მის ერთ-ერთ გარნიზონს. ფინელთა საველე სადარაჯო შეეცადა გზა გადაეღობა მოთხილამურეებისათვის, მაგრამ წინააღმდეგობის გამწევი ჯარისკაცები რამდენიმე წუთში მოსპობილ იქნენ.

მტრის განლაგებაში პანიკა ატყდა. სროლით შეშფოთებული ოფიცრები და ჯარისკაცები სასწრაფოდ გამორბოდნენ მიწურებიდან და ზურგში გარბოდნენ, მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა იწყო წინააღმდეგობის გაწევა.

ჩვენი მებრძოლები მიწურებში შეიჭრნენ. მოთხილამურეებმა წამოიღეს შტაბის დოკუმენტები, რუკები, ბრძანებანი, იარაღი, დანარჩენი ყველაფერი ცეცხლით მოსპეს და თოჯმის უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

პ. ბარანიკოვი

ქვანახშირის უარმოებათა გაღიდება საქართველოში

მოსკოვი, 8 აპრილი (საკდესი). ზაფხულის განმავლობაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარდება დიდი გეოლოგიურ-კვლევითი მუშაობა ქვანახშირის ფართობთა გასადიდებლად. ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფ ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოებში იქმნება კარგად აღჭურვილი სტაციონარული მაძიებელი პარტიები. მათი ამოცანაა შეეჭიდნენ ახალი რეზერვები ამ რაიონებში ქვანახშირის ამოღების გასადიდებლად. ეწყობა თბილისის გეოლოგიურ-მაძიებელი პარტია, რომელიც გამოიკვლევს ქვანახშირს ახალ რაიონებში.

მუშათა მომარაგების განყოფილებანი უმაღლეს სასწავლებლებთან

მოსკოვი, 8 აპრილი (საკდესი). უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთა სტუდენტების კვების გასაუმჯობესებლად იქმნება მუშათა მომარაგების განყოფილებანი. მუშათა მომარაგების განყოფილებანი შეიქმნება 30 უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთან, მათ შორის—მოსკოვის 1-ლ და მე-2, ლენინგრადის, ხაბაროვსკის, სვერდლოვსკის, თბილისის, ომსკის და სხვა დიდ ინსტიტუტებთან.

დახმარება განთავისუფლებულ რაიონებს

მომძე რესპუბლიკები ეხმარებიან სტავროპოლის მხარეს მინდვრის სავაზფხულო სამუშაოთა მოწყობაში. აზერბაიჯანიდან მიღებულია 422 ტრაქტორი და 45 ავტომანქანა. უზბეკეთმა გამოგზავნა 531 და დაღისტანმა 140 ტრაქტორი. ბევრი ავტომანქანა მოვიდა საქართველოდან და სომხეთიდან.

განთავისუფლებულ მხარეში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქიდან ჩამოდიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ბევრი მათგანი უკვე მუშაობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

(საკდესი).

გერმანიის ავიაციის თავდასხმა კრასნოდარზე

12 აპრილს გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ქ. კრასნოდარს. მტრის თვითმფრინავებს ქალაქის მისადგომებთან შეხვდნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები და საზენიტო არტილერიის მძლავრი ცეცხლი. მტრის თვითმფრინავებმა, რომლებმაც ქალაქში შემოაღწიეს, უწესრიგოდ დაყარეს ბომბები საცხოვრებელ სახლებს და მათი ნგრევა გამოიწვიეს. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა. მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ჩვენი ავიაგამანადგურებლების მოქმედებით და საზენიტო არტილერიის ცეცხლით კრასნოდარის რაიონში მოსპობილია გერმანელთა 25 თვითმფრინავი. ჩვენ 5 თვითმფრინავი დაკარგეთ.

თავდასხმა კენიგსბერგის სამხედრო-სამეურნეო ობიექტებზე

კენიგსბერგი აღმოსავლეთ პრუსიის მთავარი ქალაქია, სამხედრო მრეწველობის უდიდესი ცენტრი, უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი და საზღვაო ნავსადგური. გერმანელებმა აქედან დაიწყეს შემოტევა საბჭოთა ბალტიისპირეთსა და ლენინგრადზე.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი
გვარდიის მაიორი **ა. ე. მოლოდჩი**
ფოტო ა. ლესისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მტრის ქალაქს კარგად იცნობენ ჩვენი მფრინავები. შარშან მათ არა ერთხელ დაუყარეს მომავალდინებელი ტვირთი კენიგსბერგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს.

10 აპრილს ღამით შორი მოქმედების ავიაციის მფრინავები კვლავ გამოჩნდნენ კენიგსბერგზე. ამ თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ისინი, ვინც შარშან ჭაფავდა გზას ბერლინისა, ბუქარესტისა და ბუდაპეშტისაკენ, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდობაც, რომელმაც შეითვისა უფროსი ამხანაგების საბრძოლო გამოცდილება.

იმ აეროდრომებზე, სადაც ბაზა აქვთ შორი ნოქმედების ჰვიაციის ნაწილებს, ამ დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლება სუფევდა. პირველი აფრინდა მფრინავი ოფიცერი, საბჭოთა კავშირის გმირი ალექსეი მოლოდჩი. ეს ოსტატურად მოსწავლეები მაგრამ ბომბდამტაცული მანქანა და მალე მიეფარა ჰორიზონტს. მის კვალდაკვალ საბრძოლო ფრენებზე მფრინავებმა საბჭოთა ავიაციის გმირების კრასნუხინისა და გარანინის, ორდენოსანი მფრინავების მარკოვის, ეფდოკიმოვის, პოლეევის, მატვეევის, ხარიტონოვის, დიდენკოს და სხვათა მანქანები.

ჩვენს მფრინავებს რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუხდათ ფრენა, გზაზე შეხვდათ ორუბლიანობა, რომელიც ზემოდან უნდა შემოეღლოთ. ამიტომ აღარა სჩანდნენ სახმელეთო ორიენტირები. შტურმანებს ხომალდები მიჰყავდათ აერონავიგაციური გაანგარიშებით. სწორედ აქ გამოჩნდა მათი ოსტატობა, უნარი და მაღალი საავიაციო კულტურა.

ზუსტად დანიშნულ საათზე ჩვენი თვითმფრინავები კენიგსბერგის თავზე გამოჩნდნენ.

ბომბავს შტურმანი გვარდიის უფროსი ლეიტენანტი სუხარევი. ჯერ კიდევ მიზანამდე მისვლამდე ოგი ქალაქში ამჩნევდა დიდი ძალის აფეთქებასა და ხანძარს. თავის ბომბებს იგი აყრის დასახულ ობიექტს, გაჩნდა ხანძრის ახალი კერები. სუხარევის შემდეგ ბომბები ჩაჰყარა გვარდიის მაიორმა გოზელიმ, შემდეგ უფროსმა ლეიტენანტმა ფეოქტისტოვმა, ლეიტენანტმა სტარკოვმა. გვარდიის მაიორმა ალეინიკოვმა და თავდასხმის სხვა მონაწილეებმა.

სხვა აეროდრომიდან ჰაერში აფრინდნენ გვარდიის ეკიპაჟები, რომელთაც მხოლოდ იმ დღეს გადაეცათ გვარდიის დროშა მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გვარდიის მაიორ რაზეიკის ეკიპაჟმა, რომელმაც ამას წინათ აღნიშნა თავისი მ-200 საბრძოლო გაფრენა. იგი განსაკუთრებული სიზუსტით ბომბავდა. სანიშნეშოდ შეასრულეს დავალება საბჭოთა კავშირის გმირების გვარდიის კაპიტან ბურიატნიკოვისა და გვარდიის მაიორ გლაზკოვის, ორდენოსან ვიხორევისა და სხვების ეკიპაჟებმა.

კენიგსბერგის სამხედრო-სამეურნეო ობიექტებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

კაპიტანი ი. ბერდნიკოვი

12 აპრილი. (საკდესი).

კენიგსბერგზე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

კაპიტანი პავლოვი ტელეგრაფით ატყობინებს „პრავდას" კენიგსბერგის სამხედრო-სამეურნეო ობიექტებზე 10 აპრილს ღამით საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმის შემდეგ დაწვრ

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი

ფართოდ გავშალოთ მეცნიერული მუშაობა მცენარეთა დაცვის საკითხებზე

14 აპრილს იხსნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების მესამე სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილია მავნებელთა და ავადმყოფობათაგან სუბტროპიკულ მცენარეთა დაცვის საკითხებისადმი.

სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებანი ასახავენ იმ მუშაობას, რომელსაც ჩვენი მეცნიერ მუშაკები ეწევიან მცენარეების მავნებელთა და ავადმყოფობათა დასადგენად და, რაც მთავარია, მათ წინააღმდეგ სბრძოლველ ღონისძიებათა დასამუშავებლად. ამ მხრივ უეჭველად გამოირჩევა ენტომოლოგების, ფიტოპატოლოგების, განსაკუთრებით აღსანიშნავად პროფესორების, და დოქტორების—ლ. კალანდაძის, ი. ბათიაშვილის, ნ. ალექსიძის, ვ. ქარუმიძის, ნ. ხაჭაპურიძის. დოცენტების — ო. ყანჩაველის, ე. ერისთავის, ლ. წერეთელის და მრავალ სხვათა ნაყოფიერი მუშაობა.

ჩვენში სუბტროპიკული მცენარეები უცხოეთიდან არის შემოტანილი და მათ თან მოჰყვნენ ის დაავადებანი და მავნებლები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მათ სამშობლოში. გარდა ამისა, ადგილობრივი ფაუნიდან და სოკოებიდან ცოტა კი არ დასახლდა ამ ახალ მცენარეებზე, რამაც უფრო გააძლიერა საფრთხე, რომელიც ამ მცენარეებს მოელოდა ახალ სამშობლოში. საჭირო იყო ფრიად სწრაფი ზომების მიღება, რომ ეს საფრთხე თავიდან აგვეცილებინა, და მართლაც, საქართველოს სსრ მეცნიერმა მუშაკებმა, პრაქტიკულმა მოღვაწეებმა თავდადებულად იმუშავეს და ბევრიც გააკეთეს. ამ მხრივ ავანგარდული როლი ეკუთვნის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს (დირექტორი ლ. ყანჩაველი), რომელიც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია.

მიღწევები ამ მხრივ უეჭველად დიდი გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ყურადღებისა და ენერგიის მოდუნებამ შესაძლებელია სერიოზული საფრთხის წინაშე დაგვაყენოს, განსაკუთრებით ომიანობის პირობებში.

მცენარეების მავნებელთა და ავადმყოფობათა შესწავლას, გამოვლინებას დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს კარანტინის ინსპექცია, რომელმაც თავისი ლაბორატორიების მეშვეობით დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია. მაგრამ მან სხვა ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად განსაკუთრებით უნდა გააძლიერის ყურადღება დღევანდელ პირობებში. რათა არ გავრცელდეს ზოგიერთი ისეთი მავნებელი, რომელსაც ფრიად დიდი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება. ამ მუშაობაში საკარანტინო ინსპექციას უდიდეს დახმარებას უნდა უწევდნენ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი და მეცნიერი მუშაკები.

ომის პირობებმა გამოიწვია მრავალი შომშხამველი ნივთიერების დეფიციტი, ნაკლოვანება. სწორედ ეს მხარე შეიძლება აღმოჩდეს ყველაზე ვიწრო ადგილად მავნებელთა და პარაზიტთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამიტომ ყველაზე დიდი შემოქმედებითი უნარი ამ მხრივ უნდა იქნას გამოჩენილი. ჩვენი მეცნიერი მუშაკების მუშობა აქეთკენ უნდა წარიმართოს. მათ დღევანდლამდე არსებული და დღეს დეფიციტური მომშხამველი ნივთიერებანი უნდა შესცვალონ ადგილობრივი ნედლეულიდან მიღებული შესაფერი მომშხამველი ნივთიერებით. ამის შესაძლებლობა გვაქვს. საქართველოს მეცნარეულობა საკმარისად მდიდარია ისეთი მცენარეებით, რომელნიც შხამებს დიდი რაოდენობით შეიცავენ. საკმარისია დასახელდეს შხამა (აპტერარკი), ხარის ძირა, დეზური, ბაია, ძაღლყურძენა, მთის გვირილა, კოლხური გვირილა, სამხრეთის გვირილა და სხვა მრავალი. ყველა ეს მცენარე ჩვენში საკმაო რაოდენობით მოიპოვება. სავსებით შესაძლებელია მათი სამრეწველო გამოყენება. გარდა ამისა, ადგილობრივი ეფექტური ნივთიერებანი და მრეწველობის სხვადასხვა ანარჩენი ამისათვის საკმაოდ დიდ მასალას მოგვცემს. ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა ვიტამინოვანი ავადმყოფობათა წინააღმდეგ.

დღევანდლამდე ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მცენარეთა დაცვისა და აგროტექნიკის საკითხების კომპლექსურად დამუშავებას. მაგალითად, ნიადაგის დამუშავების ზოგიერთი ვადები შესაძლებელია ხელს უწყობდეს მავნებელისა თუ სოკოს გავრცელებას, მაშინ როდესაც კომპლექსურად საკითხის დამუშავება ასეთ ნაკლოვანებას აგვაცილებდა.

უკვე 20–25 წელია სისტემატურად სწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე მავნებელთა და სოკოვან ავადმყოფობათა შესწავლა, მაგრამ დღემდე მათ დარაიონებაზე ნაკლებს ემუშაობდით, მაშინ როდესაც საკითხის ამგვარად დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მცენარეთა დაცვის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მინდვრის კულტურების ავადმყოფობათა და მავნებელთა დიფერენციულ შესწავლას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა ისეთი კომპლექსის დასახვას, რომელიც ადვილად გასატარებელი იქნება ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ მეხილეობის დაცვის საქმე ჯერ კიდევ თავის სიმაღლეზე არ დგას, ამავე დროს არც ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი აქცევდნენ ამ დარგს იმ ყურადღებას, რომლის ღირსიცაა ჩვენი მეხილეობა. ამიტომ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ჩვენმა სამეცნიერო დაწესებულებებმა ამ დარგში მეხილეობასთან კავშირებული საკითხები უნდა გაიხადონ. დაამუშაონ მთელი კომპლექსი ღონისძიებებისა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი შესანიშნავი ხილის ბაღების მაღალ და ხარისხოვან მოსავალს.

ნაკლები ყურადღება ექცეოდა მცენარეთა დაცვის მექანიზაციის და შესაფერი მუშაობის სორგანიზაციო საკითხებს. ამ დარგის აპარატურის შექმნაზე უნდა იმუშაონ ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკებმა, რომელთა ენტუზიაზმსა და შემოქმედებითს უნარზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს სოფლის მეურნეობის და კერძოდ მცენარეთა დაცვის მექანიზაციის საკითხები.

ჯერჯერობით საკმაოდ არ არის გაშლილი კავშირი კოლმეურნე მცდელებთან, ქოხ-ლაბორატორიებთან, პროვინციის პუნქტებთან და სხვ. ამ მხრივ მუშაობა უნდა გარდავქმნათ და ცოცხალი კავშირი ამ ორგანიზაციებთან უახლოეს ხანში უნდა გვაქვდეს. არავინ ისე სწრაფად არ დანერგავს მეცნიერების მიღწევას, როგორც მცდელი კოლმეურნე, ქოხ-ლაბორატორიის, საკოლმეურნეო აქტივი. რაიონის აგრონომი, უბნის აგრონომი და საზოგადოდ სოფლის მეურნეობის დარგში უშუალოდ მომუშავე. ჩვენ კი ეს შესაძლებლობა დღეანდლამდე სათანადოდ არა გვქონდა გამოყენებული, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია თვით კოლმეურნეთა და საკოლმეურნეო აქტივის ინიციატივა, მათ მიერ საკითხების დაყენება ჩვენს მეცნიერთა წინაშე. მათ უნდა გაამაგრონ კავშირი მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან. უნდა დააყენონ საკითხები, რომელნიც მათ აინტერესებთ, აკონტროლონ თავისი დაკვირვება, რაზედაც ყოველთვის მიიღებენ შესაფერ პასუხს. საკოლმეურნეო სოფელსა და მეცნიერებას შორის მჭიდრო კავშირის გარეშე ძნელი იქნება ყოველთვის სწრაფად და სწორად გადაიჭრას მცენარეთა დაცვის მტკივნეული საკითხები. სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებთან ერთად ეს საკითხიც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა დაისახონ თავის მუშაობაში ჩვენმა მეცნიერებმა.

პეგარა სახლი გზისპირას

მოქმედი არმია, 12 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მაიორ სცეპუროს ნაწილი შეტევას აწარმოებდა. მებრძოლთა ჯგუფს უფროს ლეიტენანტ პოდუბნიაკის მეთაურობით ნაბრძანები ჰქონდა წინ წაწეულიყო და მოწინააღმდეგისათვის უკან დასახვევი გზა გადაეჭრა. მებრძოლებმა თავიანთი ამოცანა შეასრულეს, მაგრამ ბრძოლის მსვლელობაში თვითონ ჩავარდნენ ძძიმე მდგომარეობაში. გერმანელებმა ჩვენი ნაწილის ერთ-ერთი ფლანგი შეავიწროეს და პოდუბნიაკის ჯგუფი რკალში მოიმწყვდიეს. ექვს შეიარაღებულ მებრძოლს შეეძლო თავისიანებისაკენ გამოჭრილიყო, მაგრამ გზისპირას მდებარე პატარა სახლში, სადაც ჩასაფრებული იყო პოდუბნიაკი თავისი მებრძოლებითურთ, 15 დაჭრილი წითელარმიელი იმყოფებოდა. და პოდუბნიაკმა გადასწყვიტა მტრის უდიდესი რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად ებრძოლნა უკანასკნელ ვაზნამდე. გერმანელებს 200-ზე მეტი მეავტომატე ჰყავდათ, მათ ჰქონდათ ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები. მათ ეხმარებოდა არტილერია.

პოდუბნიაკმა ირგვლივი თავდაცვა მოაწყო, ისე რომ სახლს მტერი ვერსაიდან ვერ მისდგომოდა. ფაშისტებს იერიშები მიჰქონდათ ჯგუფ-ჯგუფად—100-120 კაცის შემადგენლობით. ცხრაჯერ გადმოვიდნენ ესინი იერიშზე პატარა სიმაგრის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველთვის უკუიქცეოდნენ და ბრძოლის ველზე ათობით მოკლულსა და დაჭრილს სტოვებდნენ. მებრძოლებს საომარი მასალა გამოელათ, თითოეულზე მხოლოდ თითო გრანატი და ათიოდე ვაზნა რჩებოდა მაშინ პოდუბნიაკმა გადასწყვიტა გაერღვია რკალი. ის დასაზვერავად გამოვიდა დამიგნო მოწინააღმდეგისაგან თავისუფალ ბილიკს, რომელიც ჭაობისაკენ მიდიოდა. შორეული და საძნელო გზა იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

მძიმედ დაჭრილნი მებრძოლებმა ზურგზე წამოიკიდეს. ვისაც კი ფეხის გადადგმა შეეძლო, თვითონ გაეშვა. განუჭვრეტელ წყვდიადში, მუხლებამდე ტალახსა და წყალში, მიემართებოდნენ მებრძოლნი თავისიანებისაკენ და ცდილობდნენ არ ეხმაურნათ, დილით მათ ჩვენი ნაწილის განლაგებამდე მოაღწიეს.

დღისით მაიორ სცეპუროს მსროლელებმა გერმანელები განდევნეს მათი პოზიციებიდან. გზისპირას მდებარე პატარა სახლის ირგვლივ მებრძოლებმა ფაშისტთა 80 გვამი დითვალეს.

ა. მალიგაშვილი

დღეთმეტი

საომარი მოქმედება ფუნისში

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 12 აპრილს მთელი ტუნისის ფრონტის გასწვრივ მოკავშირეთა ჯარებმა მრავალ უბანზე წაიწიეს წინ. 12 აპრილს დილით დაკავებულ იქნა სუსი. პირველი და მერვე არმიის პატრულები გაგანგრძობენ წინსვლას ჩრდილოეთისაკენ ნაპირსა და სანაპირო მაღლობებს შუა. ფრანგთა ჯარები წინ მიიწევენ მთიან რაიონში ჩრდილოეთისაკენ, ინგლისის პირველი არმიის ოპერაციების რაიონში, მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს აგრეთვე მეიჯეზ-ელ-ბაბის და მიუნშარის რაიონში.

13 აპრილს ინგლისის მერვე და პირველი არმიების ნაწილები შეერთდნენ კაირუანის რაიონში.

ალჟირის რადიო გადმოგვცემს, რომ 13 აპრილს მერვე არმიის ავანგარდებმა ენფიდავილს მიაღწიეს. ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს იტალიელთა თითქმის მთელი დივიზია „ვიტორია" („ვიტორია" იტალიურად „გამარჯვებას" ნიშნავს).

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 20 მარტიდან დაწყებული ინგლისის მარტო მერვე არმიამ ხელთ იგდო 20.000 ტყვე.

11 და 12 აპრილს ამერიკის ავიაციამ დაბომბა ნავსადგური ნეაპოლი.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 12 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იაპონელთა 45 თვითმფრინავი თავს დაესხა მოკავშირეთა გემებს ოროს გუბის (ახალი გვინეა) რაიონში. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია იაპონელთა 23 თვითმფრინავი. მოკავშირეებს ჰაერში უმნიშვნელო ზარალი მოუვიდათ. ერთი გემი 2.000 ტონა წყალწყვისა იძულებული იყო ნაპირზე გარიყულიყო.

მოკავშირეთა ავიაციამ იაპონელთა სამხედრო ობიექტები დაბომბა მადანგში (ახალი გვინეა), ფინშის ყურეში, მდინარე ირავადის რაიონში და ტაუნგაპის მახლობლად (ბირმა).

ინგლისის გეგმა საერთაშორისო ანგარიშსწორების ომის შემდგომი ორგანიზაციისა

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი", რომელიც შეიცავს წინადადებას „საერთაშორისო კლირინგული კავშირის" შექმნის შესახებ. „თეთრ წიგნში" ჩამოყალიბებულ გეგმას მთავრობა ახასიათებს როგორც „ომის შემდეგ საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის ერთ-ერთი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში შეტანილ წინასწარ წვლილს". ეს გეგმა მას შემდეგ, რაც წინასწარ იქნა განხილული დომინიონების წარმომადგენლებთან ერთად, გასაცნობად გადეეცა გაერთიანებული ერების წარმომადგენლებს. „თეთრ წიგნში" მოყვანილია წინადადება საერთაშორისო უნაღდო (ეგრეთწოდებული კლირინგული) ანგარიშსწორების სისტემის შემოღებისა და ამ მიზნით „საერთაშორისო კლირინგული კავშირის" შექმნის შესახებ.

სიკვდილით დასჯეს მიუნხენის უნივერსიტეტის სამი სტუდენტი

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). გაზეთი „დეილი მეილი" იუწყება, რომ ამას წინათ მიუნხენის უნივერსიტეტში აღმოჩენილ იქნა ანტიჰიტლერული ფურცლები, რომლებშიც ჰიტლერს კაცისმკვლელი უწოდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელისუფლებამ აღმოაჩინეს ანტიჰიტლერული ლოზუნგები, რომლებიც წაწერილი იყო ფაშისტური პარტიის ზოგიერთი შენობის კედლებზე მიუნხენში. მიუნხენის უნივერსიტეტში ნაპოვნი ფურცლები ფართოდ გავრცელდა თვით მიუნხენში და ბავარიის სხვა ნაწილებში. გესტაპომ დაპატიმრება მოახდინა.

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ სტუდენტები ჰანს შოლი, ქრისტოფ პრობსტი და სოფია შოლი. სამივეს წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ ისინი „ამზადებდნენ სახელმწიფოს ღალატის აქტს და მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მოქმედებდნენ". პროცესის დროს ბრალდებულებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს. ჰანს შოლმა მოსამართლეებს მიმართა და გაიცხადა: „მალე თქვენ იქ იდგომებით, სადაც ამჟამად მე ვდგევარ". სასიკვდილო განაჩენის გამოტანისთანავე სტუდენტები სიკვდილით დასჯეს.

ნორვეგიელი ხალხის ერთიანობის დემონსტრაცია

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 9 აპრილი—გერმანელების მიერ ნორვეგიის ოკუპაციის სამი წლისთავის დღე—ნორვეგიელმა პატრიოტებმა აღნიშნეს გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში ერთიანობის სხვადასხვანაირი დემონსტრაციებით. ჯერ კიდევ ამ დღემდე დიდი ხნის წინათ არალეგალურმა პატრიოტულმა ორგანიზაციებმა მოწოდებით მიმართეს ნორვეგიელ ხალხს, რათა გერმანელთა ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დემონსტრატიულად არ გამოსულიყვნენ ქუჩებში 9 აპრილს. მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის 99 პროცენტი მონაწილეობას იღებდა ამ საყოველთაო-სახალხო პროტესტში. 9 აპრილს ოსლოს და ნორვეგიის სხვა ქალაქთა ქუჩები ცარიელი იყო. ქუჩებში მხოლოდ გერმანელი პატრულები და კვისლინგელ მოიერიშეთა რაზმები. დადიოდნენ.

საიდუმლო რადიოსადგურებმა მოისმინეს ნორვეგიის მეფე ჰოკონისა და პრემიერ-მინისტრ ნიუგორსვოლდის სიტყვები, რაც გადაცემულ იქნა ლონდონიდან.

კიფეერიელი ჯაშუშებისა მხეცობა პოლონეთში

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰიტლერელებმა კრაკოვში დაწყეს ებრაელთა გეტოს „ლიკვიდაცია" მისი მოსახლეობის გაქალეტის გზით. სამი დღის განმავლობაში გესტაპოს აგენტებმა კრაკოვში 1.000-ზე მეტი ებრაელი დახოცეს, ხოლო დანარჩენი საბარგო მანქანებით ოსვეციმის საკონცენტრაციო ბანაკში ჰგზავნიან და იქ ხოცავენ მათ გაზებითა და ელექტროენერგიით.

ანგლიელ-ამერიკელთა ბრძოლა ბერძენეთში

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). ამას წინათ ბერძენი ქალაქ მონსში გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაცია, რომელშიც რამდენიმე ასეული ბელგიელი ქალი იღებდა მონაწილეობას.

საოკუპაციო ხელისუფლებამ ქალაქის მცხოვრებთა მიმართ გაფრთხილება გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვამია: „ამ უკანასკნელ ხანს ქალები არაერთხელ აწყობდნენ საპროტესტო დემონსტრაციებს არადამაკმაყოფილებელი სასურსათო მომარაგების წინააღმდეგ. ასეთი დემონსტრაციები შეუწყნარებელია. დემონსტრაციების მონაწილეთა და იმ პოლიციელთა მიმართ, რომელნიც ენერგიულ ზომებს არ მიმართავენ ასეთი პროცესიების წინააღმდეგ, გამოყენებული იქნება უაღრესად სასტიკი ღონისძიებანი".

მიღებული ცნობების თანახმად, ვალონის ბრაბანტში ბელგიელმა პატრიოტებმა გააფუჭეს 13 ვაგონი და 11 ორთქლმავალი, რომლებიც გერმანიაში უნდა გაგზავნილიყო. ბრიუსელში „რუა დიუ კოუჩუკის" ქარხანაში პატრიოტებმა 34 მანქანა მოსპეს.

იტალიაში ძლიერდება უკმაყოფილება და დამარცხების მომხრეობა

სტოკჰოლმი, 11 აპრილი (საკდესი). იტალიურმა ფაშისტურმა გაზეთმა „პოპოლო დ'იტალიამ" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნავს, რომ იტალიის მმართველი წრეების განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს „ყოველგვარი ხმების გამავრცელებელთა" რიცხვის ზრდა, ხალხის სხვადასხვა ფენებში „დამარცხების მომხრეობისა და იმით დაღალვის" განწყობილების შეპრა. ფაშისტური გაზეთი ფიქრობს, რომ „ზურგში წესრიგი არ არსებობს" და მოითხოვს „უკმაყოფილოთა" წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას.

უცხოეთის ქრონიკა

იტალიის ხელისუფალნი იძულებით ახდენენ მოსახლეობის ევაკუაციას სარდინიისა და სიცილიის კუნძულებიდან.

* * *

ამა წლის იანვრიდან მოსპობილია გერმანიის 121 თვითმფრინავი იმ 960 თვითმფრინავიდან, რომელნიც ამ ხნის განმავლობაში ინგლისის სანაპიროზე გამოჩნდნენ.

* * *

ამას წინათ ინგლისში კანადის ჯარების ახალი რაზმი ჩავიდა.

* * *

თვითმფრინავთა წარმოებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია 5.500 მანქანას თვეში. ამა წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოუშვეს 5.000 ტანკი და ორჯერ მეტი ტყვიამფრქვევი და ავტომატი, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის ყველა წლის განმავლობაში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით მთავრდება ახალ საესკორტო ავიოსან „ბრიტონის" გამოცდა. მას აქვს უკანასკნელი ტიპის ნაღმსაწინააღმდეგო მოწყობილობანი. მასზე დადგმულია უახლესი ორთქლქვაბები და დიზელის ძრავები. (საკდესი).

ომიანობა ოდესაც



მოქმედი არმია (ცენტრალური ფრონტი), ქართველი ხალხის მამაცი შვილი ცოტნე მეუნარგია—ნ ნაწილის ერთ-ერთი ყველაზე გაბედულ მზვერავთაგანი. ორჯერ პირადად მოიყვანა „მოენე" და ამხანაგებთან ერთად ბევრჯერ მოუტანია დაზვერვიდან ძვირფასი ცნობები. მამაცი მზვერავი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით

ფოტო მ. ბერკოვიჩისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ერთიანი ინგლიოთეკა

აჭარის მწერლები სამამულო ომის დღეებში

აჭარაში მომუშავე საბჭოთა მწერლები დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩადგნენ ფრონტის სამსახურში. მშვიდობიანი ნაშენებლობის, ცეტრუსოვანი აჭარის მომეურალმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა მრავალი მხატვრული ნაწარმოები შეჰქმნეს, რომლებშიაც უბადრიან სოციალისტურ სამშობლოს, დიდ სტალინს, საბჭოთა ადამიანების უმაგალითო მამაცობას და გმირობას. ეს ნაწარმოებები გაეღენთნილია გერმანელ ფაშიატ ავანგარდთა წინააღმდეგ მწველავ სიძულვილით და ჩვენი გამარჯვების ულრმესი რწმენით. ასეთია პ. ლორიას, ნ. მალაზონიას, კ. რუსიეის, ა. შერვაშიძის, შ. იოსელიანის, პ. რურუას, შ. შუბლაძის, ნ. გვარიშვილის, გ. სალუქვაძის, შ. ვარშანიძის, დ. გოგიტიძის, გ. წულაიას და სხვ. ლექსები, მოთხრობები და პიესები. აჭარის მწერალთა საუკეთესო ნაწერები თავმოყრილია კრებულებში, რომლებიც აჭარის სახელგამმა გამოსცა ომის დღეებში. ასეთებია:

„ჩვენ გავიმარჯვებთ". კრებულში მოთავსებულია ლ. შარაშიძის წერილი „აჭარის მწერლები სამამულო ომის დღეებში"; ლექსები: ნ. მალაზონია — „ჩვენს სიამაყეს", „საახალწლო", „სამღერა გმირ კომისარ კაკო გიორგაძეზე", „ბალადა მზარეულზე"; კ. რუსიძე—„ქართველ მეომარს", „ოდა გვიშვერს ხელებს", „დაჭრილი", „შენი ღიმილი"; შ. შუბლაძე—„ზარს შემოჰკარ, ქართლის მიწავ!", „ორი ძმა", „წინ, გმირო"; ი. ნონეშვილი—„ქართლის დიდება დავიცვათ", „ოთხი ძმა", „ესათაურო; პ. რურუა—„საერიშო", „განვაგრძოთ შეტევა", „ფრონტის დობილი"; მ. ვარშანიძე — „მზვერავის დაბრუნება"; ნ. გვარიშვილი — „ბრძოლე მედგრად"; დ. გოგიტიძე—„დედისადმი", „მოწოდება"; გ. სალუქვაძე—„ფრონტზე", „მებრძოლ დობილს"; გ. წულაია—„ქართველ დედას"; ბ. ზაზ. ბ. ლორია—„დაბრუნებული"; კ. რუსიძე—„დაკარგული ბარათი" და „სვეტლანა". წიგნი, რომლის რედაქტორია ლ. შარაშიძე, შეიცავს 65 გვერდს და ღირს 5 მან.

„ბრძოლა გამარჯვებამდე". კრებულში მოთავსებულია ნ. მალაზონიას, პ. რურუას, ი. იოსელიანის, კ. რუსიძის, ნ. გვარიშვილის, შ. შუბლაძის, გ. სალუქვაძის ლექსები და ბ. ლორიას მოთხრობა. წიგნის რედაქტორია ლ. შარაშიძე. კრებული შეიცავს 40 გვერდს და ღირს 1 მან.

„ყველაფერი ფრონტისათვის". კრებულში, რომელიც გამოიდა რუსულ ენაზე, დაბეჭდილია ნ. მალაზონიას, პ. რურუას, ი. იოსელიანის, კ. რუსიძის, შ. ვარშანიძის, შ. შუბლაძის, ნ. გვარიშვილის ლექსები და პ. ლორიას მოთხრობა. თარგმანი შესრულებულია ა. ყანჩელის მიერ. წიგნი, რომლის რედაქტორია ი. რუხაძე, შეიცავს 83 გვერდს და ღირს 3 მან.

თბილისის რაიონული საბჭოების სესიები

15 აპრილს, ხალამოს 7 საათზე, ლენინის სახ. რაისაბჭოს სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ. № 134) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების **ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს XIV სესია.**

15 აპრილს, ხალამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის **სტალინის სახ. რაიონული საბჭოს მორიგი XIII სესია.**

15 აპრილს, ხალამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პროსპ. № 83) შესდგება მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის **მოლოტოვის სახ. რაიონული საბჭოს XIII სესია.**

15 აპრილს, ხალამოს 7 საათზე, რაიაღასკომის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის მოედანი № 1) მოწვეულია ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების **26 კომისრის სახ. რაიონული საბჭოს XIII სესია.**

ლექციები და მოხსენებები

15 აპრილს, ხალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტთათვის და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება **ამხ. გორგილაძისა და კანტარიას** კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„ლენინის აპრილის თეზისები".**

სახელმწიფო უნივერსიტეტში

14 აპრილს, დღის 2 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდ. № 86) პროფ. **შალვა ნუცუბიძე** წაიკითხავს პოემა **„ამირანის"** რუსულ თარგმანს. დასწრება თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2872880, გაცემული საკ. კ. პ. (ბ) კისლოვოდსკის საქალაქო კომიტეტის მიერ ნიკოლოზ გიორგის-ძე **ტოლმაჩევის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხარიზონ ვარდოშვილის ლექსები

საბჭოთა მწერლების ქავშირის გამომცემლობამ „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა ხარიტონ ვარდოშვილის ლექსების კრებული. კრებულში დაბეჭდილია პატრიოტული და სამამულო ომის თემებზე დაწერილი ლექსები: გმირი, სტალინგრადს, წითელარმიელი, გმირული სიკვდილი, მხედრის წერილი დედასადმი, დედის პასუხი, ლაშქრული, გასტელოს ხსოვნას, ნასაღლარი, დაჭრილი, ტულინს, გმირებს. მეგობრები, ქართლის ზეცა, ეფაესი, ზღვა, ზოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ალ. პუშკინს, გვიზე, ჭანდარი, საგაზაფხულო. ტფილისი.

წიგნი შეიცავს 50 გვერდს და ღირს 6 მ. და 80 კ.

მოგებიანი ანაბრები შემნახველ სალაროებში

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა პირველი ტირაჟისა, რომელიც შესდგა 1943 წლის 11 აპრილს ქ. თბილისში მოგება ხვდა საქართველოს სსრ და რსფსრ კრასნოდარის მხარის ყველა შემნახველ სალაროში არსებულ მოგებიან ანაბართა ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგების ოდენობა ანაბრის საშუალო თან-ხის % -ობით	ანგარიშების №№	მოგების ოდენობა ანაბრის საშუალო თან-ხის % -ობით
3	50%	558	50%
71	50%	564	200%
112	50%	632	50%
154	50%	640	100%
198	50%	690	50%
215	50%	759	50%
247	50%	770	50%
280	50%	832	50%
346	50%	840	50%
363	50%	908	50%
400	50%	933	50%
478	100%	981	50%
512	50%		

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
კ. ციმაკურიძე

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. პეტროსიანი

სახკრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიის წარმომადგენლები
ბ. ბაბარეთსკი, ლ. მაჭავარიანი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
ა. შტეინბერგი

თეატრებში

14 აპრილს: სახოპერა—„რახილი". რუსთაველის სახელობის — „სამშობლო". მარჯანიშვილის სახელობის—„მარგარიტა გოტიე", გრიბოედოვის სახელობის — „შმაგი ფული". მუსიკალური კომედიის—„როზ-მარი". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი—„ეფილია სოკოლოვა".

კინოებში

რუსთაველის სახ.—„სტალინგრადი", ოქტომბერი—„რაიკომის მდივანი", დამკვრელი—„მაშენკა", კომკავშირელი — „ამანგელელი", სპარტაკი—„ცირკი", ლუქსემბურგის სახ. — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", 26 კომ. სახ.—„მხედრები", კომინტერნი—„69-ე პარალელი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

(გარდაცვალებიდან 18 წლისთავის გამო)

მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტად.

ი. სტალინი

მთელი თავისი მგზნებარე პოეტური ტემპერამენტი მაიაკოვსკიმ მოახმარა საბჭოთა ეპოქას. მის მრავალრიცხოვან ლექსებსა და პოემებში, დრამატურგიულ თხზულებებსა და აგიტკუპლებში, ჟურნალისტიკასა და საჯარო გამოსვლებში ძლავრად სჩქეფდა სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სყვარული და უსაზღვრო სიძულვილი ვერაგი მტრებისადმი. მაიაკოვსკის შემოქმედების ერთი ძირითადი თემა—სოციალიზმი მრავალმხრივად გაშალა სრულიად ახალ დიდ პოეტურ სახეებში, არ დარჩენილა ჩვენს დროში წამოჭრილი თითქმის არც ერთი ისეთი საკითხი, რომელსაც მაიაკოვსკის პოეტური ხმა არ შეეხებოდეს. იგი ყოველ „წვრილმანში" დიდს პოულობდა. მას შესწევდა ძალა პოეტური ექსპრესიით გადმოეცა ეს „წვრილმანი", ღრმად შთამაგონებელი, დიდი აზრებით დატვირთული მხატვრული არსენალით.

როცა კითხულობ მაიაკოვსკის შემოქმედებას, გგონია თითქოს დღეს არის დაწერილი ეს ცეცხლოვანი ბრძოლის პათოსით აღსავსე ლექსები, რომლებიც ასე მრავალმხრივად ეხმაურებიან ჩვენი დღეების მრისხანებას და მდელვარებას.

სამშობლო, მისი დაცვა, ბოლშევიკების პარტია—მშრომელი ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი, წითელი არმია—ოქტომბრის ძლევამოსილ მონ